ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1658703

ნომერი: AR1272441

თარიღი : 19.12.2014

გაცემის თარიღი : 25.12.2014

გაცნობის თარიღი : 06.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 160 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანი ბზიავა პ/ნ 01019002879
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 1 ბ. 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 19

დეკემბერს #AR1272441 განცხადებით მომართა რომანი ბზიავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა #160–ში, შ.პ.ს. ,,ატლასი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 05.12.2014 წლის #1628549 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 პუნქტში ჩანაწერი:,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით", შეიცვალა ჩანაწერით,, მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით".

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 2509.23 კვ.მ–ის ნაცვლად დაფიქსირდა 2503.5 კვ.მ, კომერციულ ფართობად 330.49 კვ.მ–ის ნაცვლად 330.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 551.72 კვ.მ–ის ნაცვლად 551.3 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 365.17 კვ.მ–ის ნაცვლად 335.2 კვ.მ. შესაბამისად, ცალკეული ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლების შეცვლის გამო შეიცვალა საერთო ფართობი და 4039.6 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 4076.11 კვ.მ–ს.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს – 2509.23 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 330.49 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 551.72 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 365.17 კვ.მ. საერთო ფართობად – 4076.11 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1556894 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.